



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49203324

თარიღი:27/11/2020

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №36 83

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482033179, 26/11/2020) წერილი, რომელშიც ითხოვს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრას წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2020 წლის 27 ნოემბრის №36 83 განკარგულების
დანართი №1

№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი	წლიური საიჯარო ქირა
1	2	3	4	
1	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.305	28 ლარი
2	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 44.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.306	88 ლარი
3	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.307	28 ლარი
4	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 53.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.308	106 ლარი
5	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 71.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.309	142 ლარი
6	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 11.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.310	22 ლარი
7	წყალტუბო- ქუთაისის საავტომობილო გზა	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 242.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.144	484 ლარი